სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამის სტურქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება Geomorphology, Cartography and Landscape Planning
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	• **I ნაწილი (60 ECTS კრედიტი) - გეოგრაფიის მაგისტრი - Master of Geography** • **II ნაწილი (60 ECTS კრედიტი) - კვლევის მაგისტრი გეოგრაფიაში - Research Master in Geography**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**პროგრამის საერთო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი** **<u>I ნაწილი 60 ECTS კრედიტი</u>** 30 კრედიტი - სავალდებულო საგნები 30 კრედიტი - არჩევითი საგნები **<u>II ნაწილი 60 ECTS კრედიტი</u>** 10 კრედიტი - სავალდებულო საგნები 20 კრედიტი - მოდულის არჩევითი საგნები 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი **პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი მოდულებით:** • გეომორფოლოგია, კარტოგრაფია (Geomorphology, Cartography) • ლანდშაფტური დაგეგმარება (Landscape Planning)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პროგრამის I ნაწილზე დაშვების წინაპირობები:** • ბაკალავრის აკადემიური ხარისხი: საბუნებისმეტყველო, ზუსტ, აგრარულ, საინჟინრო, ეკონომიკურ, სოციალურ მეცნიერებებში და სხვა მომიჯნავე დარგებში. • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • ზეპირი გამოცდა სპეციალობაში. **პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობები:** პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებით). აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პროგრამის I ნაწილის მიზნები** 1. მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტულ პროფესიონალი, რომელსაც ექნება გეოგრაფიის თეორიული საკითხების ცოდნისა და ამ სფეროებში შემდგომი საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მაღალი პროფესიული ეთიკა; 2. ხელი შეუწყოს გეოგრაფიის (გეოგრაფიული გარსისათვის დამახასიათე-ბელი მოვლენებისა და პროცესების, მათ შორის გეოდინამიკური), ლანდშაფტური (სივრცითი) დაგეგმარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და პროგნოზირების, კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური დარგის განვითარებას.

	პროგრამის II ნაწილის მიზნები 3. მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტულ პროფესიონალი, რომელსაც ექნება გეოგრაფიის თეორიული საკითხების გაღრმავებული ცოდნისა და ამ სფეროებში შემდგომი საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევები და მაღალი პროფესიული ეთიკა; 4. ხელი შეუწყოს გეოგრაფიის (გეოგრაფიული გარსისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და პროცესების, მათ შორის გეოდინამიკური), ლანდშაფტური (სივრცითი) დაგეგმარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და პროგნოზირების, კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვან და აქტუალურ დარგში კვლევების განვითარებას; 5. ხელი შეუწყოს გეოგრაფიის სფეროში ინოვაციურ-შემოქმედებითი მიდგომების განვითარებას.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	მაგისტრანტს შეუძლია: **<u>პროგრამის I ნაწილი</u>** 1.1. საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის (ლანდშაფტური, გეომორფოლოგიური, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სხვ.) სისტემური ანალიზი და შეფასება; 1.2. გეომორფოლოგიური პროცესების იდენტიფიკაცია და კარტოგრაფირება; 1.3. კარტოგრაფიული პროდუქტის შეფასება და სივრცე-დროითი ანალიზი; **<u>პროგრამის II ნაწილი</u>** 1.4. კრიტიკულად შეაფასოს და არგუმენტირებულად ჩამოაყალიბოს დასკვნები გარემოსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, მოახდინოს ამ კავშირის შედეგად განვითრებული სივრცე-დროითი პროცესების ანალიზი; 1.5. ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიული (ლანდშაფტური) დაგეგმარება, მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემატიკის წარმოჩენა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გეოგრაფიული ანალიზი.
უნარები	მაგისტრანტს შეუძლია: **<u>პროგრამის I ნაწილი</u>** 2.1. არგუმენტირებული მსჯელობა სადისკუსიო საკითხებზე, გეოგრაფიის აქტუალური თემატიკის იდენტიფიკაცია და ანალიზი; 2.2. გეოგრაფიული მონაცემების სისტემატიზაცია და გის მონაცემთა ბაზების შექმნა; 2.3. კარტოგრაფიული ნაწარმოებების სხვადასხვა წყაროებში მოძიება, მათზე ასახული ობიექტების, მოვლენების და პროცესების იდენტიფიკაცია-ანალიზს და ახალი კარტოგრაფიული პროდუქტის შექმნა სხვადასხვა ტიპის წყაროების (საველე, კამერალური, გის-ტექნოლოგიები) გამოყენებით; 2.4. ეფექტური მუშაობა გუნდში. **<u>პროგრამის II ნაწილი</u>** 2.5. არგუმენტირებული მსჯელობა სადისკუსიო საკითხებზე, გეოგრაფიის აქტუალური თემატიკის იდენტიფიკაცია, ანალიზი და გადაჭრის გზების მოძიება; 2.6. გეოგრაფიის ძირითადი ცნებებისა და კონცეფციების გამოყენებით სივ-

	რცე-დროითი და კომპლექსური (სისტემური) ანალიზი.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	მაგისტრანტს შეუძლია: **<u>პროგრამის I ნაწილი</u>** 3.1. კეთილსინდიერებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის განხორციელება; 3.2. თვითგანვითარების დაგეგმვა და განხორციელება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. **<u>პროგრამის II ნაწილი</u>** 3.3. კეთილსინდიერებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით პროფესიული, მათ შორის კვლევითი საქმიანობის განხორციელება; 3.4. შესრულებული სამუშაოს სამეცნიერო საიმედოობასა და მიღებული დასკვნების ორიგინალობაზე პასუხისმგებლობა. 3.5. თვითგანვითარების დაგეგმვა და განხორციელება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მათ შორის კვლევით პროექტებში ჩართულობით.
სწავლება -სწავლის მეთოდები	• ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; • პრაქტიკული მეთოდები; • დისკუსია, დებატები; • ჯგუფური მუშაობა; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება • შემთხვევის ანალიზი; • დედუქცია, ინდუქცია/ანალიზი, სინთეზი • შედარებითი და სივრცე-დროითი ანალიზის მეთოდი.
შეფასების სისტემა	**<u>პროგრამის I ნაწილი</u>** სასწავლო კურსების შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, (FX)-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. **<u>პროგრამის II ნაწილი</u>** სასწავლო კურსები ფასდება I ნაწილის მსგავსად; სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სილაბუსში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით ფაკულტეტზე დამტკიცებული შეფასების კომისიის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (FX/F), მისი

	დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	ისეთი პროფილის ორგანიზაციები, როგორიცაა: ეკოლოგია და გარემოს დაცვა, კარტოგრაფია და ტერიტორიული (სივრცითი) დაგეგმარება, განათლების სისტემა, ინტერნეტ-პორტალები, მონაცემთა ბაზების შექმნით დაკავებული ორგანიზაციები, სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ორგანიზაციები, საერთაშორისო და პოლიტიკური ორგანიზაციები, სამეცნიერო ექსპერტიზით დაკავებული ორგანიზაციები, საჯარო და კერძო რეესტრი, სახელმწიფო, ტერიტორიული მართვით და მეურნეობის სხვადასხვა დარგით დაკავებული ორგანიზაციები და სხვა. პროგრამის ნაწილი I-ის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. პროგრამის ნაწილი II-ის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	• საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; • სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**ადამიანური რესურსები:** თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის აკადემიური და დამხმარე პერსონალი, მოწვეული პედაგოგები (იხ. დანართი 2 და 5). **მატერიალური რესუსრები:** • თსუ ბიბლიოთეკა, რესურსცენტრი, მუზეუმი; • თსუ ზსმ ფაკულტეტის სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიები; • თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის მატერიალური ტექნიკური ბაზა (ხელსაწყო-დანადგარები, თემატური და ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.). • თსუ-სთან არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები • სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთანაც თსუ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
დეპარტამენტი: გეოგრაფიის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS კრედიტი (60 ECTS - I ნაწილი და 60 ECTS - II ნაწილი)

I ნაწილი 60 ECTS კრედიტი
30 კრედიტი - სავალდებულო საგნები
30 კრედიტი - არჩევითი საგნები
II ნაწილი 60 ECTS კრედიტი
10 კრედიტი - სავალდებულო საგნები
20 კრედიტი - მოდულის არჩევითი საგნები
30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები / კოორდინატორი:
პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი (კოორდინატორი)
პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22/06/2026, 44/2026
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2026-2027 (I ნაწილი), 2027-2028 (II ნაწილი)

პროგრამის სტრუქტურა (I ნაწილი)

N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა		სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			I	II	

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკუმი/ ლაბორატორიული	დამოუკიდებელი				
		სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი									
1		ლანდშაფტური კარტოგრაფირება*	5	30	0	15/0	80	-	5		თ. გორდეზიანი
2		ლანდშაფტური დაგეგმარება-1*	5	30	0	15/0	80	-	5		ნ. ელიზბარაშვილი
3		გეოსაინფორმაციო (GIS) სივრცითი ანალიზი*	5	15	0	30/0	80	-	5		დ. სვანაძე
4		ისტორიული კარტოგრაფია*	5	30	0	15/0	80	-	5		დ. ნიკოლაიშვილი
5		ლანდშაფტების კადასტრი*	5	15	0	30/0	80	-		5	დ. ნიკოლაიშვილი
6		ტურიზმი და რეკრეაციული რესურსები*	5	30	0	15/0	80	-		5	გ. მელაძე
		არჩევითი კურსები - 30 კრედიტი									
7		გეომორფოლოგიის აქტუალური საკითხები	5	30	0	15/0	80	-	5		გ. დვალაშვილი
8		გეომორფოლოგიური კარტოგრაფირება	5	30	0	15/0	80	-	5		გ. დვალაშვილი
9		გეოინფორმაციული კარტოგრაფირება	5	15	0	30/0	80	-	5		გ. გაფრინდაშვილი
10		კარტოგრაფიული კონცეფციები	5	30	0	15/0	80	ლანდშაფტური კარტოგრაფირება		5	თ. გორდეზიანი
11		რელიეფის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია	5	30	0	15/0	80	-		5	გ. დვალაშვილი
12		სკულპტურული გეომორფოლოგია	5	30	0	15/0	80	-		5	გ. დვალაშვილი
13		წინასადიპლომო საველე პრაქტიკა	5	0	0	80/0	45	ლანდშაფტური დაგეგმარება-1		5	ნ. ელიზბარაშვილი გ. მელაძე
14		სასწავლო პრაქტიკა-ისტორიულ კარტოგრაფიაში	5	0	45	0/0	80	ისტორიული კარტოგრაფია		5	დ. ნიკოლაიშვილი
15		უცხოური ენა-1	5	0	0	60/0	65	-		5	ენების ცენტრის პედაგოგი
16		ლანდშაფტის ეთოლოგია და გარემოს მდგომარეობათა კარტოგრაფირება	5	15	0	30/0	80	-		5	თ. გორდეზიანი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა (II ნაწილი)

N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი				
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკუმი/ ლაბორატორიული			III	IV	
		სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი									
2-1		საქართველოს რეგიონების გეომორფოლოგია*	10	45	0	45/0	160	-	10		გ. დვალაშვილი
		მოდულის "გეომორფოლოგია, კარტოგრაფია" არჩევითი კურსები - 20 კრედიტი									
2-2		მეწყერსაშიშროების შეფასების მეთოდოლოგია	5	30	0	15/0	80	-	5		გ. გაფრინდაშვილი
2-3		გარემოს დინამიკის კარტოგრაფიული ასპექტები	5	30	0	15/0	80	-	5		თ. გორდეზიანი
2-4		ბუნებრივი საფრთხეების მართვა გის-ებით	5	15	0	30/0	80	-	5		გ. გაფრინდაშვილი
2-5		სტიქიური მოვლენების რისკი და შეფასება	5	30	0	15/0	80	-	5		გ. დვალაშვილი
2-6		საველე გეოგრაფიული პრაქტიკა	5	0	0	45/0	80	-	5		დ. ნიკოლაიშვილი თ. გორდეზიანი გ. გაფრინდაშვილი
		უცხოური ენა-2	5	0	0	60/0	65	-	5		ენების ცენტრის პედაგოგი
		სამაგისტრო ნაშრომი**	30	0	45	0/0	705	20 კრედიტი		30	
		მოდულის "ლანდშაფტური დაგეგმარება" არჩევითი კურსები - 20 კრედიტი									
2-2		ლანდშაფტური დაგეგმარება-2	5	30	0	15/0	80	-	5		ნ. ელიზბარაშვილი

2-3		მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება	5	30	0	15/0	80	-	5		ნ. ელიზბარაშვილი გ. მელაძე
2-4		კლიმატური პროცესების გეოგრაფია და პროგნო-ზირება	5	30	0	15/0	80	-	5		მ. ელიზბარაშვილი
2-5		საველე გეოგრაფიული კვლევები	5	15	0	30/0	80	-	5		რ. მაღლაკელიძე
2-6		გეოსაინფორმაციო (GIS) სივრცე-დროითი ანალიზი და სინთეზი	5	30	0	15/0	80	-	5		დ. სვანაძე
2-7		გარემოზე ზემოქმედების შეფასება	5	30	0	15/0	80	-	5		ნ. ელიზბარაშვილი
		უცხოური ენა-2	5	0	0	60/0	65	-	5		ენების ცენტრის პედაგოგი
		სამაგისტრო ნაშრომი**	30	0	45	0/0	705	20 კრედიტი		30	

*სავალდებულო საგნები

**სამაგისტრო ნაშრომის არჩევის აუცილებელი წინაპირობაა II ნაწილის 20 კრედიტი (მათ შორის 10 კრედიტი სავალდებულო საგანი).

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

თარიღი ——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი